ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

ნოველის გაგება - სწავლებისათვის სკოლაში

დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი, მზია თამაზაშვილი, ლალი კიკვიძე
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ანოტაცია

სკოლაში ნოველის გაგებისა და სწავლების საკითხები ძალზე მნიშვნელოვანია და აქტუალური. ნოველა, როგორც ჟანრი, არის საკმაოდ საინტერესო, დახვეწილი, მაღალმხატვრული. მისი შესწავლა მოსწავლეებს, ფაქტობრივ ცოდნასთან ერთად, მხატვრულ გემოვნებასაც ჩამოუყალიბებს.

ნოველის სწავლებისას შეიძლება გამოყენებული იქნას სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები. ასეთებია: სიტუაციის მოდელირება, პაუზებით კითხვა, ტექსტის მარკირება, აზრობრივი რუკაT დიაგრამა; აგრეთვე, შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი სქემები: „ ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე", ვარაუდების სქემა, თხზულების აგება კორნელის გრაფის გამოყენებით, ნაწარმოების შემადგენელი ნაწილების სქემა, მიზეზ-შედეგობრიობის რუკა; აგრეთვე, სქემა ამბის შინაარსის ორგანიზებისა და მარკირებისათვის.

ნოველის აქამდე არსებული „ტრადიციული" სწავლება გულისხმობს აგრეთვე იმ ასპარეზსა და საშუალებებსაც, რომელთა მეშვეობითაც პედაგოგს შეუძლია ნოველის სწავლებისას გაითვალისწინოს სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები და თეორიები და, ამავე დროს, გამოიყენოს მრავალფეროვანი აქტივობები და სტრატეგიები. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი შეფარდებული იქნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან (ზგემ).

საკვანძო სიტყვები

ნოველა; სონატა; სცენიურობა; ნოველის თავისებურებანი; მრავალფეროვანი სტრატეგიები; სქემები; მარკირება; ისტ; განვითარებისა და სწავლის თეორიები; „ტრადიციული" და თანამედროვე.

შესავალი:

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს სკოლაში ნოველის გაგებისა და სწავლების საკითხები. წარმოდგენილი სასკოლო პროგრამის მიხედვით ნოველის სწავლებას ეთმობა გარკვეული დრო ქართული ლიტერატურის შესწავლისას, თუმცა, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, ნოველის, როგორც ჟანრის უფრო ღრმად შესწავლა მისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გათვალისწინებით.

ნოველა და სონატა. ნოველა და სცენა. საერთოდ, ნოველის რაობის, მისი თეორიული განსაღვრის საკითხში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა მეცნიერებაში (თამაზაშვილი 1999(1):21). უპირველეს ყოვლისა, ყველა ერთხმად აღნიშნავს ნოველის დახვეწილობასა და ერთგვარ არისტოკრატიზმს, მასში წარმოდგენილი წამის პოეტურობას, განუმეორებლობასა და სწრაფწარმავლობას, რაც ნოველას აუცილებლად ანიჭებს გარკვეულ ხიბლს. ნოველას ხშირად ადარებენ მუსიკალურ ნაწარმოებსაც,

ISSN 1512-1801

კერძოდ, სონატას, რომელიც, ასევე, განწყობილების გამომხატველი ნაწარმოებია. თავისი ორთემიანი კომპოზიციისა (მთავარი და მეორეხარისხოვანი) და ლირიკული განწყობილების გამო ნოველასა და სონატას ხშირად უდარებენ ერთმანეთს. ასეთი „მუსიკალურნი" არიან, მაგალითად, ნიკო ლორთქიფანიძის ან ჩეხოვის ნოველები, რომლებშიც ხიბლთან ერთად შერწყმული სევდა ქმნის განუმეორებელ ჟღერადობას.

თუ, ერთი მხრივ, ნოველა მოგვაგონებს მუსიკალურ ნაწარმოებს, უაღრესად ინდივიდუალურსა და პიროვნულს, მეორე მხრივ- იგი დასაბამს იღებს ფოლკლორიდან, ზეპირსიტყვიერებიდან და, ამდენად, ეყრდნობა ზოგადს, საერთო ეროვნულს. ფოლკლორთან კავშირში ხედავენ, აგრეთვე, ყველა მისი სტრუქტურული თავისებურების საფუძველს -მისი მოცულობის, წყობის, ენის, განმაპირობებელ მონაცემებს. ნოველაში თხრობა უნდა იყოს ისეთი მკვეთრი, ცოცხალი, რომ, როგორც სცენიური ნაწარმოები, გამოდგეს დეკლამირებული წაკითხვსთვისაც კი. ნოველის ეს თვისება სკოლაში კარგად შეიძლება მივუსადაგოთ სიტუაციის მოდელირების სტრატეგიას. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ის, რასაც რომანმა შეიძლება მოანდომოს მთელი ტომი, ნოველაში გადმოიცემა სხვაგვარად - თითქოსდა სანახევროდ, წამის გაელვებით, ნათქვამ-უთქმელით, სევდანარევი მომხიბვლელობით (ნიკო ლორთქიფანიძის „გული", „იყიდება საქართველო").

თუ დავუპირისპირებთ ნოველას რომანს, როგორც ფართო მხატვრულ ტილოს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხშირად რომანი გადმოსცემს ერთი ადამიანის ბედს, ინტერესდება ერთი პიროვნებით, ერთი რაიმე ძირითადი მოვლენით და ყველაფერს ამისთვის მოიმსახურებს– ყველა დეტალს, ყველა პასაჟს. მცირე ფორმის ნოველას კი შეუძლია მოიცვას ერის ბედი (ნიკო ლორთქიფანიძის "გული"), მსოფლიო ისტორია, მრავალი პიროვნების თავგადასავალი. ასე რომ ამოცანა ნოველისა მდგომარეობს არა რაიმე შემოფარგვლასა და განსაზღვრულობაში, არამედ თავისთავად თხრობის მანერაში. თხრობის მანერა, თხრობის კომპოზიცია არის მთავარი ნოველისათვის და არა – პერსონაჟთა ან კონფლიქტთა რაოდენობა.

მაინც რაში მდგომარეობს თხრობის ის სტილი, რომლითაც ხასიათდება ნოველა? ნოველა ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს გვაძლევს კონცენტრირებულად, ძალზე მკვეთრი და გამორჩეული სახით. ნოველაში არ ხდება ცალკეული პიროვნების სახის გაშლა, გაანალიზება, რასაც ადგილი აქვს რომანში. ნოველა ახდენს დემონსტრირებას რაიმე ცხოვრებისეული წინააღმდეგობისას მაშინ, როდესაც რომანი გვიხსნის, გვახედებს, გვიშლის თვალწინ ყველაფერს, განმარტებას გვაძლევს. ნოველა იდუმალი სახეა სიღრმეში მიმდინარე პროცესებისა. იგი წამის გაელვებაა, ხატია, რომლის მიღმა ჩვენ უნდა ამოვიცნოთ ადამიანური ცხოვრების სიღრმე და ტკივილები. ნოველა ცხოვრებისეულ წინააღმდეგობას გამოხატავს შეკუმშულად, მკვეთრად, მოულოდნელობით. რომანისტსა და მკითხველს დრო ბევრი აქვთ, ნოველისტს კი მარად ეჩქარება – უხვფეროვანი ცხოვრების ტილოზე იგი მრავალ მკვეთრ ფერსა და სურათს ხედავს, რომელიც აღწერას ითხოვს და ნოველისტისთვის დრო აღარ რჩება. იგი ხატის მიღმა ჩვენ გვიტოვებს სიღრმეთა გახსნის შესაძლებლობას. ხოლო რომანისტს დრო ბევრი აქვს და დაწვრილებით გვიხსნის ყველაფერს.

ISSN 1512-1801

ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ ი. ვინოგრადოვის კვლევით და გამოვყოთ ნოველის ზოგიერთი თავისებურება. (Виноградов 1937(2)).

1. ნოველაში გადმოცემული ფაქტი თავისთავად რაღაცით საინტერესო უნდა იყოს. იგი უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმას რასაც ჩვენ ვუწოდებთ „ჩვეულებრივს";
2. ასეთ წინააღმდეგობებს („ჩვეულებრივსა"და „არაჩვეულებრივს" შორის) ნოველა, როგორც წესი, ამძამფრებს.
3. ამბის ეს სიმწვავე ნოველას ანიჭბს გარკვეულ ხასიათს და თანდათანობით თხრობა გადადის სუბიექტურ შეფასებაში, რაც ორი მიმართულებით მჟღავნდება. ერთი არის ფილოსოფიური და მეორე- ლირიული.(თუკი ნოველა არაა story-ის ტიპისა).

ხაზგასმულია სწორედ ნოველის ემოციური შეფერილობა. რათქმა უნდა, ნოველაში არის ეთიკური, აღმზრდელობითი, ზნეობრივი მომენტებიც, მაგრამ ამაში არ მდგომარეობს მისი არსი (ასეთი დანიშნულებისა იგავიც შეიძლება იყოს, როგორც აღნიშნავს ვინოგრადოვი).

ნოველის არსს წარმოადგენს ამბის გადმოცემის ძირითადი მანერა, რაც მდგომარეობს განწყობილების გამოხატვაში სინამდვილის ამათუ იმ მოვლენისადმი, რომელიც თავისთავადგანუმეორებელია. ნოველაში გადმოცემული ამბის სიტუაციის ამ „ერთადერთობას" გახაზავს ოსვალდ შპენგლერიც თავის ფილოსოფიურ თხზულებაში „ევროპის დაისი" (Шпенглер 1993 (3) : 501).

ნიკო ლორთქიფანიძე კი ამგვარად წერს თავისი სამწერლობო სტილის, ნოველისტური სტილის შესახებ : (ლორთქიფანიძე 1973 (4) : 137).

„განა მწერალს, როგორც ყოველ ადამიანს, ცოტა ჰყავს ნაცნობი, რომელიც მზის დაბნელებასავით ერთხელ უნახავს, რომელზედაც გაუგონია ორიოდე სიტყვა და უბრალო შეხვედრაც მეხსიერებიდან ვერ აღმოუფხვრია? განა უფლება არა აქვს ბელეტრისტს, შემთხვევითი შეხვედრანი ყურმოკრული ამბები, წუთიერი შთაბეჭდილებანი გადასცეს თავის მეგობარს- მკითხველს?.....

მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი-სამი ხაზი დაამზადოს; დამთავრება, დაბოლოვება ნაწარმოებისა კი მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს" („უიალქნოდ").

მნიშვნელოვანია, სკოლაში შევძლოთ მოსწავლისათვის ჩვენება ნოველის არსისა, მისი სილამაზისა, მისი შემოქმედებითი ბუნებისა (ნიკო ლორთქიფანიძის ზემოთ მოხმობილი შეხედულების თანახმად). აქვე უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ბუნებაც, რომლისთვისაც სახალისო იქნება ნოველის მცირე ფორმა და სხარტი, ემოციური თხრობა თუ ამბავი. ნოველა უნდა იყოს მოსაწონი მოსწავლისათვის, ადვილად აღსაქმელი, ამავე დროს-შთამბეჭდავი. მოსწავლისათვის ნოველის მახასიათებლების ჩვენება შეიძენს აღმზრდელობით პლასტსაც, რამდენადაც ყურადღება იქნება გამახვილებული ადამიანის სულიერ მხარეზე, მის ემოციურ ბუნებაზე.

მრავალფეროვანი სტრატეგიები. ნოველის სწავლება სკოლაში შესაძლებლობას იძლევა, რომ გამოვიყენოთ სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები, როგორებიცაა: სიტუაციის მოდელირება, პაუზებით კითხვა, ტექსტის მარკირება, T დიაგრამა, აზრობრივი რუკა, სქემა „ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე", ვარაუდების სქემა და სხვა.

ISSN 1512-1801

აქტივობა „სიტუაციის მოდელირება". როგორც უკვე აღინიშნა, ნოველას ახასიათებს ერთგვარი სცენიურობა, თითქოსდა სცენაზე (ცხოვრების სცენაზე) მისი წარმოდგენა, გააზრება. ამიტომაც ძალზე საინტერესოა, ნოველის შესწავლისას გამოვიყენოთ აქტივობა „სიტუაციის მოდელირება", რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც როლებით თამაში. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გამოსცადონ საკუთარი თავი „სხვა" სიტუაციაში. ეს აქტივობა ამ თვალსაზრისით ძალზე შთამბეჭდავია და თითქოს ამითაც ეხმიანება ნოველას, რომლის ერთ-ერთი მახასიათებელი სწორედაც ადამიანზე ემოციური გავლენის, შთაბეჭდილების მოხდენა გახლავთ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოდელირების შემდეგი ანალიზი. მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ თავიანთ გრძნობებზე, შთაბეჭდილებებზე, განცდებზე ანუ უნდა გააანალიზონ საკუთარი სულიერი სამყარო ამ დროს, სულიერი შინაარსი. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მათ, რომ განცდილი დააკავშირონ რეალობასთან, წარმოდგენილი (შესწავლილი) ნოველა გადმოიტანონ სინამდვილეში და მიუსადაგონ მას.

აქტივობა „პაუზებით კითხვა". ნოველის შესწავლისას მნიშვნელოვანია საკმაოდ გავრცელებული მეთოდი პაუზებით კითხვისა. ეს მეთოდიც თავისი შინაარსით ეხმიანება ნოველის არსს, მის აგებულებას. მნიშვნელოვანია თავიდანვე ნოველის სათაურზე დაკვირვება და ყურადღების მიქცევა; მოსწავლეები იმსჯელებენ, თუ რას უნდა მოველოდეთ ამგვარი დასათაურების ნაწარმოებისაგან (ნოველისაგან).

აზრობრივი რუკა და ვარაუდების სქემა. პაუზების კითხვის დროს შეიძლება სქემებიც გამოვიყენოთ: აზრობრივი რუკა და ვარაუდების სქემა. მუშაობა შეიძლება წარვმართოთ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე, წყვილებსა თუ ჯგუფებშიც. აქ მნიშვნელოვანია, რომ ყოველი პაუზისას, შეწყვეტენ რა კითხვას, მოსწავლეებმა ჩამოაყალიბონ და ჩაინიშნონ თავისი ვარაუდი, თუ რა შეიძლება მოხდეს შემდეგ. ეს ჩაიწერება ვარაუდების სქემის პირველ სვეტში; გასწვრივ, მეორე სვეტში აღინიშნება ის ადგილი (ეპიზოდი, პასაჟი), რის საფუძველზეც ჩამოუყალიბდა მოსწავლეს მოცემული ვარაუდი. შემდეგ მოსწავლეები გააგრძელებენ კითხვას მეორე პაუზამდე, კვლავ ჩაიწერენ ვარაუდს და ა. შ. ბოლოს შეუდარებენ ტექსტსა და ნოველის მთლიან განვითარებას თავის ვარაუდებს. ნოველის სწავლებისას ეს აქტივობა განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლე თითქოსდა თვითონვე ქმნის „ახალ ნოველას", ახალ „მოულოდნელობებს" თავისი ვარაუდების მეშვეობით.

T დიაგრამა. ვარაუდების სქემასთან ერთად ნოველის სწავლებისას ძალზე მოსახერხებელი იქნება T დიაგრამის გამოყენება, რაც საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ დაპირისპირება, კონტრასტი განსახილველ საკითხებს შორის, მოქმედ პირებს შორის. ეს სქემა კარგია დახარისხებისათვის, პერსონაჟთა შედარებისთვის, რის შემდეგაც მოსწავლისათვის უფრო ადვილი ხდება ნაწარმოების ძირითადი სათქმელის მიგნება.

სქემები. სქემათაგან ნოველის სწავლებისას შეგვიძლია გამოვიყენოთ, „ვიცი, ვისწავლე, მინდა გავიგო", რაც მეტად პრაქტიკული ხერხია ამა თუ იმ საკითხის გასააზრებლად,

ISSN 1512-1801

საერთოდ, და, აგრეთვე, მოსწავლის სამომავლო ინტერესების დასადგენად. ჩვენ შეგვიძლია, აგრეთვე, ნიმუშად წარმოვადგინოთ რამდენიმე სქემა, რომელთა გამოყენებაც იქნება პრაქტიკული და საინტერესო ნოველის სწავლების დროს, როგორც გარკვეული აქტივობა; კერძოდ, ესენია: ვარაუდების სქემა, თხზულების აგება კორნელის გრაფის გამოყენებით, ნაწარმოების შემადგენელი ნაწილების სქემა, აგრეთვე, სქემა ამბის შინაარსის ორგანიზებისათვის, მიზეზ-შედეგობრიობის რუკა, სქემა ტექსტის მარკირებისთვის და სხვები.

ტექსტის მარკირება. ძალზე მნიშვნელოვანია ნოველის სწავლებისას, ისევე, როგორც ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოების სწავლებისას, ტექსტის მარკირება. ამ დროს მოსწავლეები ინდივიდუალურად აკეთებენ აღნიშვნებს (ტექსტის გასწვრივ) პერსონაჟების, მხატვრული ხერხების, ძირითადი სათქმელის აღსანიშნავად და მისათითებლად. საბოლოოდ ყველა ეს აღნიშვნა სქემის სახითაც კი შეიძლება წარმოვადგინოთ.

პროექტი. და ბოლოს, ძალზე კარგი, მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი აქტივობაა პროექტი, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, შეისწავლონ და წარმოადგინონ, როგორც თვითონ ნოველა, აგრეთვე, ავტორის ცხოვრება და მოღვაწეობა და, საერთოდ, ნოველა, როგორც ერთ-ერთი ჟანრი თავისი მახასითებელი ნიშან-თვისებებით.

ისტ-ის გამოყენება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძალზე საინტერესოა ნოველის შესწავლა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, როცა მოსწავლეები ინტერნეტრესურსების მეშვეობით მოძებნიან მწერლის ბიოგრაფიას, მის სურათებს, ნოველასთან დაკავშირებულ საკითხებს და ჯგუფური ან ინდივიდუალური სახით წარმოადგენენ მოძიებულ მასალას, გააკეთებენ პრეზენტაციას. ამ დროს მნიშვნელოვანი იქნება ეკრანის (პროექტორის) გამოყენება, როგორც თვალსაჩინოებისა.
„ირმის ნახტომის" ფარგლებში თბილისის 43-ე საჯარო სკოლაში ჩატარდა კიდეც ამგვარი გაკვეთილი გურამ რჩეულიშვილის ნოველასთან დაკავშირებით „ზღვა არც თუ ისე ღელავდა"

სწავლა- სწავლების თეორიები. ნოველის სწავლებისას მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი იქნება, რომ ტექსტთან ურთიერთკავშირში გაითვალისწინოს განვითარებისა და სწავლების თეორიები (თეორიები 2008 (5)). ნოველის სწავლებისას ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ „მრავალმხრივი ინტელექტის" თეორია (მაგალითად, ნოველის სწავლებისას მოსწავლეს მოვასმენინოთ სონატა და ვესაუბროთ ამასთან დაკავშირებით, ვთხოვოთ მოსწავლეებს სონატისა და ნოველის მოსმენის შედეგად მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემა); აგრეთვე, შეგვიძლია გამოვიყენოთ ბლუმის ტაქსონომია (დავსვათ კითხვები აზროვნების სხვადასხვა საფეხურის მიხედვით და ზედა სააზროვნო დონეებში - შეფასებისას - ყურადღება მივაქციოთ ნოველის მხატვრულ მახასიათებლებს, როგორც ნოველის არსებით ნიშან -თვისებეს).

დავაფიქსირებინებთ რა მოსწავლეებს ნოველის ჟანრულ თავისებურებებს, ამით ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ვიგოტსკის თეორია (აქტუალური ზონიდან უახლოეს ზონაში გადასვლის შესახებ). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვიყენებთ რა „პაუზებით კითხვის" მეთოდს, აგრეთვე, სქემებს, -ჩვენ ვეყრდნობით შემეცნების

ISSN 1512-1801

თეორიას (პერკინსი); ხოლო ინტერნეტში მასალის მოძიებისა და გამოყენებისას პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას ვგულისხმობთ.

ასე რომ, ნოველის აქამდე არსებული „ტრადიციული" სწავლება გულისხმობს, აგრეთვე, იმ ასპარეზსა და საშუალებებსაც, რომელთა მეშვეპობითაც პედაგოგს შეუძლია ნოველის სწავლებისას გაითვალისწინოს სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები და თეორიები და, ამავე დროს, გამოიყენოს მრავალფეროვანი აქტივობები და სტრატეგიები. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შეფარდებული იქნება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, საგნის სტანდარტსა და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან (ზგემ).

ამჟამად სკოლაში, როგორც ცნობილია, ისწავლება ნიკო ლორთქიფანიძის, რევაზ ინანიშვილის, გურამ რჩეულიშვილის ნოველები, აგრეთვე, ლეო ქიაჩელის მოთხრობა-ნოველა „ჰაკი აძბა" (რომელსაც განიხილავენ, ერთი მხრივ, როგორც მოთხრობას, მეორე მხრივ კი, როგორც „დიდ ნოველას"). ნოველის ჟანრულ მახასიათებლებს მოსწავლეები შეისწავლიან VIII კლასში ნიკო ლორთქიფანიძის ნოველით „დადიანის ასული და მათხოვარი"; მანამდე, VII კლასში, სწავლობენ ისინი რევაზ ინანიშვილის „წიგნს", „დამრიგებელს", აგრეთვე, ნოველას „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?", უფრო ადრე - „ნეკერჩხლის წითელ ფოთოლს"; უფროს კლასებში ისწავლება გურამ რჩეულიშვილის ნოველები: „ალავერდობა", „ზღვა არც თუ ისე ღელავდა", „ნელი ტანგო" , „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე"; აგრეთვე, როგორც უკვე აღინიშნა ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა" და ნიკო ლორთქიფანიძის ნოველები.

დასკვნა. ნოველის შესწავლა ფართო ასპარეზს იძლევა მოსწავლის როგორც ინტელექტუალური, ასევე, ემოციურ-მხატვრული თვალსაზრისით ჩამოყალიბებისა და დახვეწისათვის. სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება ნოველის შესწავლის პროცესს კიდევ უფრო საინტერესოსა და სახალისოს გახდის მოსწავლისთვის; ეს კი, თავის მხრივ, აამაღლებს მის მოტივაციასა და ინტერესს შესასწავლი მასალის მიმართ, ნოველის სილამაზე და დახვეწილობა, ამავე დროს გააძლიერებს მოსწავლის მხატვრული აზროვნების უნარ- ჩვევბს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თამაზაშვილი 1999: მ.თამაზაშვილი. სადოქტორო დისერტაცია „XX საუკუნის ქართული ნოველის კომპოზიციური თავისებურებანი". თბ. 1999
2. Виноградов 1937: Виноградов И. А. О теории новеллы в книге „Борьба за стиль". Л. 1937
3. Шпенглер 1993: Шпенглер О. Закат европы. Картина души и чувства жизни. М. 1993.
4. ლორთქიფანიძე 1973: ნ. ლორთქიფანიძე. თხზ. 4 ტომად. ტ I . თბ. 1973.
5. თეორიები 2008: განვითარებისა და სწავლის თეორიები. თბ. 2008.

ISSN 1512-1801